ორი აღებული პენალტი ერთ თამაშში

როცა ლაპარაკია კიევისა და თბილისის დინამოელ თანაკლუბელთა განვლილი მატჩის შესახებ, პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს თბილისელთა შესანიშნავი მეკარე ს. კოტრიკაძე, რომელმაც ამ დღეს ნამდვილი საოცრება მოახდინა კიევის სტადიონზე. სხვაგვარად ძნელია შეაფასოთ მის მიერ აღებული ორი პენალტი. ორჯერ იდგა მეკარე იმ უმაღლესი საფეხბურთო სასჯელის წინაშე (არც ერთი მათგანი არ იყო მისი დანაშაული) და ორჯერვე სასახელოდ დაიცვა თავისი გუნდის კარი. მაგრამ ეს პენალტებიც რომ არ ყოფილიყო, მან უნაკლოდ ჩაატარა მატჩი და აიღო რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი სწორედ მაშინ, როცა თბილისელებს უჭირდათ და აგებდნენ ანგარიშით 1:2.

პირველი ტაიმი შედარებით უინტერესო გამოდგა. კიეველები თამაშობდნენ მოკლე გადაცემებით, დიდხანს ფერხდებოდნენ მინდვრის შუაგულში, ხოლო სტუმრების შეტევებს, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ ნახევარმცველები, შედეგი არ მოჰყოლია. ასევე უშედეგოდ დამთავრდა გოლოდეცის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი საჯარიმო. ბურთი აიღო კოტრიკაძემ.

შესვენების შემდეგ თამაში ისე მწვავედ წარიმართა, რომ მაყურებლებს მისი ცქერა ძირითადად ფეხზე მდგომთ მოუხდათ. უკვე მე-5 წუთზე ბარქაიამ უაღრესად ზუსტად გაუჭრა ბურთი მელაშვილს ორ მცველს შორის და ამ უკანასკნელმა გახსნა ანგარიში - 1:0.

ამის შემდეგ კიეველები თითქმის მთელი გუნდით წავიდნენ იერიშზე. მალე გრამატიკოპულომ ისარგებლა დაცვაში დაშვებული შეცდომით და კართან შექმნილ არეულობაში გაიტანა საპასუხო გოლი, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ლობანოვსკიმ თავით გაგზავნა ბურთი კარში - 2:1. ასეთ ვითარებაში სტუმრების კარში დაინიშნა კიდევ ერთი პენალტი. მისი რეალიზება კიეველებმა ამჯერად გრამატიკოპულოს მიანდვეს, მაგრამ კოტრიკაძე კვლავ ადგილზე აღმოჩნდა.

ამ მომენტიდან დაიწყო თბილისელთა ხანგრძლივი, განუწყვეტელი შტურმი. კიეველთა კარი რამდენჯერმე ბეწვზე ეკიდა, გოლი წუთი-წუთზე იყო მოსალოდნელი.

და ეს გოლიც გატანილ იქნა: იამანიძემ (რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა მატჩი) შორიდან წამოიღო ბურთი, გაითამაშა კომბინაცია ღოღობერიძესთან და ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში - 2:2. დარჩენილ დროში უპირატესობა მთლიანად თბილისელთა მხარეს იყო, მაგრამ 11 კიეველი თავგამოდებით იცავდა კარს და შეძლო კიდეც ანგარიშის შენარჩუნება.

დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით - 2:1.

ი. ბუტენკო (ჩვენი სპეც. კორ.).

“ლელო”, 1 სექტემბერი, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან”